პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 97 (5127)

1974 წ. 18 მაისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

W·B·P
27• COURSE DE LA PAIX 1974

## შოზდა — გუნდის სული და გული

ბერლინი, 15 მაისი. მშვიდობის XXVII ველორბოლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გზებზე გრძელდება და საყოველთაო ინტერესს იწვევს. ბრძოლა მართლაც უაღრესად მძაფრი და მიმზიდველია. VIII ეტაპზე (ნოიბრანდენბურგი — ბერლინი, 128 კმ) განსაკუთრებით გამოიჩინა თავი III ეტაპზე გამარჯვებულმა, გდრ-ის ველოსიპედისტმა ჰ.-ი. ჰარტნიკმა — 2:46.39. ფინიშთან მეორე იყო ბულგარელი პოპოვი — 2:46.52.

მსოფლიო ჩემპიონმა გუნდურ რბოლაში ს. შოზდამ (პოლონეთი) III ადგილი დაიკავა — 2:47.08. მეოთხე იყო ტარტუელი ა. პიკუუსი — 2:47.18.

ორივე საშუალედო ფინიშთან პირველი მიიჭრა მშვიდობის ველორბოლის დებიუტანტი, მოუსვენარი სპორტსმენი, 22 წლის ჰოლანდიელი ტ. სმითი.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას პოლონელები ინარჩუნებენ, ხოლო მათი წარმომადგენელი ტ. მიტნიკი საუკეთესოა პირად ჩათვლაში.

ლაიპციგი, 16 მაისი. მშვიდობის ველორბოლის IX ეტაპი (პოტსდამი — ლაიპციგი, 170 კმ) მოიგო შოზდამ — 3:52.45 (ბონიფიკაციის ჩათვლით). II ადგილზეა სმითი (3:52.55), III — მ. მილდე (გდრ) — 3:53.05.

პიკუუსმა ამჯერადაც IV ადგილი დაიკავა — 3:53.15. ი. მიხაილოვი მეცხრე იყო, ნ. გორელოვი — მეთორმეტე.

პირად ჩათვლაში 9 ეტაპის ჯამში წინაა ტ. მიტნიკი (პოლონეთი) — 23:30.53.

გუნდურ ჩათვლაში მოწინავე სამეული ასეთია: პოლონეთი (70:32.39), სსრ კავშირი (70:34.45), გდრ (70:34.53).

• • •

სოციალისტური ქვეყნების პრესა დიდ ადგილს უთმობს ამ უაღრესად საინტერესო შეჯიბრებას. განსაკუთრებით აქებენ ს. შოზდას. იგი კარგი დირიჟორივით უნარიანად ხელმძღვანელობს თავის ამხანაგებს, ძალიან აქტიურია, უმალვე უშეცდომოდ აღიქვამს შექმნილ ვითარებას და ფინიშთან მუდამ უძლიერესთა ჯგუფთან ერთად არის ხოლმე.

გდრ-ის ნაკრებმა საგრძნობი დანაკლისი განიცადა: ტრავმის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა კ.-დ. დირსი.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის გ. გორუნოვის აზრით, ჩეხოსლოვაკიის გუნდს, რომელსაც ახლა IV ადგილი უკავია, უკეთესის იმედი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან რბოლის ბოლო მონაკვეთი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გაივლის. ცხადია, თვით გუნდის შემადგენლობაა ძლიერი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. ნატოუშეკი, რომელმაც პირველად გაგვაცნო თავი სპრინტერად, ფინიშის ოსტატად.

FIDE

### მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი

## ალექსანდრია — შული 2:1

რიგა, 16 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ნ. ალექსანდრია — მ. შულის მატჩში III პარტია გათამაშდა. მან დიდად აალელვა გულშემატკივრები.

ალექსანდრიამ, რომელიც თეთრებით თამაშობდა, სარბიელად ესპანური პარტია აირჩია. მან საუცხოოდ იცის ეს რთული სადებიუტო სისტემა, განსაკუთრებით ის ვარიანტი, რომელიც პარტიაში გათამაშდა. ამიტომაც პირველი 13 სვლა ექვს წუთში გააკეთა. შულმა ამ სვლებს 56 წუთი მოანდომა.

დებიუტის შემდეგ ალექსანდრიას უფრო პერსპექტიული მდგომარეობა ჰქონდა. მომდევნო სვლებით იგი მტკიცედ დაეუფლა ცენტრს. შულმა თავისი ორივე კუ საიერიშოდ მოამზადა, მაგრამ ლაზიერის ფრთის ეტლი ბრძოლიდან გამოთიშა.

მაყურებელს აოცებდა ალექსანდრიას ხანგრძლივი ფიქრი პოზიციებში, სადაც ბუნებრივი სვლები მყისვე თვალში გხვდებოდათ. მაგალითად, მე-15 სვლაზე ნანამ 35 წუთს იფიქრა, მე-17 სვლაზე — 30 წუთს. ეს ნანას მწვრთნელს დიდოსტატ ბ. გურგენიძესაც არ ეჭაშნიკა.

მარტოხელა ლაზიერით შულის იერიშს არაფერი მოჰყვებოდა, ალექსანდრიას სწორად რომ ეთამაშა. ნანამ მე-19 სვლაზეც დიდხანს იფიქრა და უხეში შეცდომა დაუშვა, გამორჩა, რომ მისი კუს დამცველი პაიკი „დაბმული" იყო და უფიგუროდ დარჩა. ცხადია, ალექსანდრიას პარტია წაგებული ჰქონდა, თუმცა კიდევ ერთი სვლა გააკეთა.

პრეს-ცენტრში ჟურნალისტებმა და მოჭადრაკეებმა ალექსანდრიას უხეში შეცდომა დაღლილობით ახსნეს — პირველმა პარტიებმა მისი დიდი ფიზიკური და ნერვიული ენერგია შთანთქა.

გთავაზობთ III პარტიას.

### ალექსანდრია — შული

### ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. d4 ed 6. 0—0 კe7 7. e5 მe4 8. მ:d4 მ:d4 9. ლ:d4 მc5 10. მc3 მ:a4 11. მ:a4 0—0 12. კf4 მფh8 13. მc3 b6 14. ეad1 ეa7 15. მd5 კc5 16. ლd2 კb7 17. ეfe1 ლh4 18. კg3 ლg4 19. h3 ლ:g3 20. მf4 g5. ალექსანდრია დანებდა.

მატჩის IV პარტია შაბათს, 18 მაისს გათამაშდება.

ნ. ჟურავლიოვი,
ჟურნალ „შახმატის" პასუხისმგებელი მდივანი.

## მათივე იარაღით

ლენინგრადი, 15 მაისი. ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დღეს აქ კიდევ ერთი მატჩი გამართა. ეს იყო სტუმრების მეოთხე გამოსვლა სსრ კავშირში. ამჯერად იგი ლენინგრადის ნაკრებს ეთამაშა და დამარცხდა — 63:81 (35:46).

ლენინგრადელებმა სტუმრების წინააღმდეგ მათივე მთავარი იარაღი — პრესინგი გამოიყენეს, თანაც, მეტოქეს მაღალი ტემპი შესთავაზეს, უფრო მოქნილი იყვნენ და გადაცემებშიც მეტ სიზუსტეს იჩენდნენ. ყოველივე ამას დაემატა იღბლიანი შორეული ტყორცნები...

ლენინგრადის ნაკრების ძირითად ბირთვს ადგილობრივი „სპარტაკის" — სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის მოთამაშეები შეადგენდნენ.

ყველაზე შედეგიანები იყვნენ: სტუმართა შორის — რობინსონი (17 ქულა) და უინტერსი (10), მასპინძელთა შორის — ბელოვი (30) და არზამასკოვი (20).

ამერიკელი კალათბურთელები მომდევნო შეხვედრებს 19 და 20 მაისს გამართავენ რიგაში.

არა, წონა ჯერ დაძლეული არ არის... მისთვის, ვინც თბილისის ცირკში ძალოსანთა ამასწინანდელ საკავშირო ჩემპიონატს ესწრებოდა, ნაცნობი გახლავთ ამ უაღრესად ემოციური, გულღია სპორტსმენის სახე. ეს მოსკოველი ვლადიმერ რიჟენკოვია, თბილისის ჩემპიონატის თავისებური გმირი. აქ დამყარებული ხუთი მსოფლიო რეკორდიდან სამი მას ეკუთვნის.



ს უ რ ა თ ზ ე: ცოტაც და... წონა დაძლეული იქნება.

მ. ზარგარიანის ფოტო.

● სოფია, 14 მაისი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია მხატვრულ ტანვარჯიშში გამართულმა ტრადიციულმა საერთაშორისო შეჯიბრებამ გაზეთ „სტუდენტსკა ტრიბუნას" თასზე. შესანიშნავად იასპარეზა ბულგარელმა კ. ფილიპოვამ, რომელმაც ქულათა საუკეთესო ჯამი მოაგროვა არა მარტო მრავალჭიდში (28,8), არამედ პროგრამის ყველა სახეობაშიც: სალტით ვარჯიშში — 19,3, ლენტით — 19,2, ბურთით — 19 ქულა. მრავალჭიდში II ადგილი დაიკავა ასტრახანელმა ა. ზასუხინამ — 28,2. იგი ასევე მეორე იყო სალტით და ბურთით ვარჯიშის შემდეგ. პირველ ექვსეულში შევიდა დანარჩენი ორი საბჭოთა ტანმოვარჯიშეც: კიეველმა ი. დერიუგინამ IV-V ადგილები გაიყო ბულგარელ ს. კოლშევსკაიასთან, ხოლო ომსკელი ნ. გერაშჩენკო მეექვსე იყო. რიგით ამ მეშვიდე შეჯიბრებაში ავსტრიის, ბულგარეთის, გფრ-ის, იუგოსლავიის, კანადის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

● მოსკოვი, 16 მაისი. საერთაშორისო შაშში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს ორი საბჭოთა დიდოსტატი — ა. განტვარგი და ა. ანდრეიკო. ეს შეჯიბრება იტალიაში დაიწყება 18 მაისს. სსრ კავშირის ჩემპიონისთვის, 25 წლის მინსკელი განტვარგისთვის და მსოფლიოს ექს-ჩემპიონისთვის, 32 წლის რიგელი ანდრეიკოსთვის ეს მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონთან, ჰოლანდიელ ტ. სეიბრანდსთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირისთვის (შეჯიბრების ჩატარება თბილისშია ნავარაუდევი ნოემბერში) მოსამზადებელი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება. სხვათა შორის, თვით სეიბრანდსიც აპირებს ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას.

● მინსკი, 16 მაისი. ტყვიის მსროლელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ნებისმიერი მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე წოლელა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ამ ტრადიციული ტურნირის დებიუტანტმა, 22 წლის ბულგარელმა მსროლელმა ვ. კოსევმა — 599 ქულა 600-დან. ეს შედეგი მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების რეკორდს უდრის. II ადგილზეა მოსკოველი ვ. ვლასოვი (595 ქულა), ხოლო III — მინსკელი ე. იაროში (593). პნევმატური პისტოლეტის 10 მეტრზე სროლაში საუკეთესო შედეგს მიაღწია ლენინგრადელმა ა. ეგრიშინმა — 387 ქულა. II ადგილზეა ი. ნემეტინი (ჩეხოსლოვაკია) — 386. მესამე იყო გამარჯვებულის თანაქალაქელი გ. სტოლიპინი. შეჯიბრება 20 მაისს დამთავრდება.

● ხიროსიმა, 16 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა ამ ქალაქში გამოსვლით დაამთავრა იაპონიაში ტურნე. ეს იყო სტუმრების მეექვსე მატჩი მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:0 (15:12, 16:14, 15:13). საბჭოთა ნაკრების ტურნეს საერთო შედეგია ორი მოგება და ოთხი წაგება.

ფეხბურთი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი

## საპასუხო გოლი... 120-ე წუთზე!

15 მაისს ბრიუსელის „ჰეისელის" მინდორზე მოეწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ მიუნჰენის „ბაიერნი" (გფრ) და მადრიდის „ატლეტიკო" (ესპანეთი).

„ბაიერნი": მაიერი, ჰანსენი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, როტი, ზობელი, ჰიონესი, კაპელმანი, მიულერი, ტორსტენსონი (დიურნბერგერი).

„ატლეტიკო": რეინა, მელო, ერედია, ეუსებიო, კაპონი, ადელარდო, ლუისი, ირურეტა, სალსედო (ალბერტო), გარატე, უფარტე (ბესერა).

მატჩის წინ კომენტატორების აბსოლუტური უმრავლესობა გამარჯვებას მიუნჰენელებს უწინასწარმეტყველებდა, ვინაიდან „ბაიერნმა" გფრ-ის ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა და მის შემადგენლობაში ქვეყნის ნაკრების 6 წევრი თამაშობს. „ატლეტიკო" კი ესპანეთის პირველობაში ჩემპიონ „ბარსელონას" 10 ქულით ჩამორჩა და ევროპის უძლიერეს კლუბებს შორის ნაკლებად იხსენიება. გარდა ამისა, მადრიდელთა რიგებს აკლდა უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტის მიერ დისკვალიფიცირებული სამი ძირითადი მოთამაშე. სპეციალისტთა აზრით, ამ გარემოებამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო შეამცირა ესპანელთა შანსები.

მატჩის დასაწყისი ესპანელებისთვის ნაკლებად სასიამოვნო იყო: მეკარე რეინამ ორჯერ მოიგერია მიულერის ძლიერი დარტყმები.

შემდგომში მადრიდელები გააქტიურდნენ და სახიფათოდ შეუტიეს მიუნჰენელთა კარს.

ძირითადი დროის ბოლომდე უპირატესობას „ატლეტიკო" ფლობდა, თუმცა „ბაიერნის" კონტრიერიშები საკმაოდ სახიფათო იყო.

შეხვედრის ძირითადი დრო ამოიწურა, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა, დაინიშნა დამატებითი 30 წუთი, რომელიც ასევე „ატლეტიკოს" უპირატესობით წარიმართა. 114-ე წუთზე მადრიდელთა ვეტერანმა ლუისმა ანგარიში გახსნა. ათასობით ესპანელმა გულშემატკივარმა, რომლებიც მატჩზე ჩავიდნენ, „ატლეტიკოს" დროშებიააფრიალეს. თითქოს ყველაფერი გაირკვა: თასი მადრიდში უნდა წაეღოთ, მაგრამ მატჩის 120-ე (!) წუთზე გერმანელთა მცველმა შვარცენბეკმა 30 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1.

ახლა კი ათასობით გერმანელმა გულშემატკივარმა მორთო ყიჟინა და „ჰეისელი" ჯოჯოხეთს დაემსგავსა.

ყველა სპეციალისტი გააკვირვა „ატლეტიკოს" ერთობ მაღალმა კლასმა. მაგალითად, მეკარეთა და მცველთა რისხვა მიულერი საიმედოდ ჩაკეტა ესპანეთის გუნდის წევრმა ეუსებიომ. „ატლეტიკოს" ცენტრალურმა მცველმა, არგენტინელმა ერედიამ კი, თუმცა მინდორზე ბეკენბაუერიც იყო, მოხიბლა ყველა, ვინც კი ამ მატჩს უყურებდა. შესანიშნავად ითამაშა გარატემ. ამ თავდამსხმელს რამდენიმეჯერ კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა.

დებულების თანახმად, გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მოხდა გუშინ. მატჩი დაიწყო გვიან ღამით (ჩვენი დროით).

(საქ. ინფ.).

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა





# პრაქტიკაზე სკოლაში

თბილისის 77-ე საშუალო სკოლის სპორტდარბაზში მოსწავლეებს ამეცადინებენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ა. კვარაცხელია, ა. ჯაჯვანი, ვ. ბენდელიანი, შ. მანჯგალაძე, ბ. ვაწაძე, ა. ტყებუჩავა, ბ. გასვიანი და ო. ჯანჯღავა, რომლებიც აქ პრაქტიკას გადიან.

პრაქტიკის პერიოდში ამ ახალგაზრდებმა გულმოდგინე მუშაობით სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებში ავტორიტეტი დაიმსახურეს.

* * *

სურათებზე: შ. მანჯგალაძე ე. გულდამაშვილს ბურთის სწორად ტყორცნის საიდუმლოებას უხსნის; ა. ტყებუჩავა მ. ბებოშვილს ნაირსახეობის ორძელზე ავარჯიშებს.

გ. სანაიას ტექსტი და ფოტოები.

# ბათუმელთა წარმატება

თბილისის უნივერსიტეტის სპორტდარბაზში გაიმართა სტუდენტთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში 11 გუნდი მონაწილეობდა. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელს ტურნირისთვის თავი რომ არ აერიდებინა, ასპარეზობა, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესო იქნებოდა.

გუნდურ ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში გავიდნენ ბათუმის პედაგოგიური და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს ბათუმელებმა. III ადგილი ხვდათ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებს. მათ კონსერვატორიის კოლექტივი დაამარცხეს ანგარიშით 5:2.

პირად პირველობაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები გ. ლევინა და ცნობილი მაგიდის ჩოგბურთელის სარქის სარხოიანის უმცროსი ძმა გიორგი.

ლევინამ გაიმარჯვა ერთეულთა შორის, ქალთა წყვილებში თანაგუნდელ ლ. კარაპეტიანთან და შერეულ წყვილებში გ. სარხოიანთან ერთად.

სარხოიანმა, ერთეულთა შეჯიბრების გარდა, გაიმარჯვა ვაჟთა წყვილებშიც თანაგუნდელ ზ. უკლებასთან ერთად.

ზ. ამირხანოვი.

• • •

## პრიზიორები

ქალთა ერთეულები. 1. გ. ლევინა, 2. ლ. კარაპეტიანი, 3. რ. აკოპიანი (სპი).

ვაჟთა ერთეულები. 1. გ. სარხოიანი, 2. პ. ეფიმოვი (სპი), 3. ზ. უკლება.

ქალთა წყვილები. 1. ლევინა — კარაპეტიანი, 2. აკოპიანი — ლ. ეგიკიანი (სპი), 3. ა. მირაქიანი — გ. მთისურაძე (თელავი).

ვაჟთა წყვილები. 1. სარხოიანი — უკლება, 2. ეფიმოვი — გ. გუგუშვილი (სპი), 3. ვ. ახათიანი — ვ. ხიხოვი (ბათუმი).

შერეული წყვილები. 1. სარხოიანი — ლევინა, 2. უკლება — კარაპეტიანი, 3. ჯიმშარიანი (ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — გუგუშვილი.

# რეკორდიც, ოსტატობაც...

გუმისთის „დინამოს" სასროლეთზე დამთავრდა საქართველოს ჭაბუკთა და გოგონათა პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის კოლექტივები. თბილისელებმა ყველაზე კარგად მომზადებული სპორტსმენები გამოიყვანეს და საერთო გამარჯვებაც დაისაკუთრეს — 171 ქულა.

საქართველოს დედაქალაქის სპორტსმენებმა ცალკეულ ვარჯიშებში 7 გუნდური I ადგილი მოიგეს, პირად შეჯიბრებაში კი უძლიერესის სახელი რვაჯერ მოიპოვეს. საერთო II ადგილზე გავიდნენ ქუთაისელები (164 ქულა), რომლებმაც თავი განსაკუთრებით ორ ვარჯიშში ისახელეს. III ადგილი მასპინძლებს დარჩათ — 105 ქულა.

თბილისელ დინამოელთა მწვრთნელის ო. კვირიკაშვილის მოწაფეებმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ლ. ხუციშვილმა და პირველთანრიგოსანმა ო. სვანიძემ პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი. ხუციშვილმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრებაში 580 ქულა მოაგროვა, სვანიძემ პნევმატური პისტოლეტით — 384. ეს შედეგი ამავე დროს მოზარდთა რესპუბლიკური მიღწევაა, რომელიც შარშან სოხუმელი ს. კალიშის მიერ დამყარებულ რეკორდს 3 ქულით სჯობს.

საკმარისია ხუციშვილმა და სვანიძემ წლეულს ასეთივე წარმატებას ერთხელ კიდევ მიაღწიონ, რომ სპორტის ოსტატის წოდებას მოიპოვებენ.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ მოზარდთა შორის ყველა ვარჯიშის სათანადოდ დანერგვა-განვითარებისთვის ყველგან არ ზრუნავენ: აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის წარმომადგენლებმა ზოგიერთ ვარჯიშში შეფასება ვერ მიიღეს, სხვა ვარჯიშების უმეტესობაში კი მეტოქეთა მომზადების დონე მეტად უთანაბრო იყო. მაგალითად, პნევმატური პისტოლეტის სროლაში ჭაბუკთა შორის გამარჯვებულმა სვანიძემ 400-დან 384 ქულა მოაგროვა, II ადგილზე გასულმა ს. კალიშმა (აფხაზეთი) კი — 363. III ადგილზე გავიდა გ. ჰუსაინოვი (თბილისი) — 358. აჭარას ამ ვარჯიშში მონაწილე საერთოდ არ ჰყავდა.

მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში გოგონებში უძლიერესმა ლ. ხუციშვილმა ქუთაისელ ლ. გოგიაშვილს, რომელიც 558 ქულით II ადგილზე გავიდა, 22 ქულა მოუგო, თბილისელ პირველთანრიგოსან კ. სულაქველიძეს კი 134 ქულით აჯობა. სწორედ სულაქველიძის მარცხის გამო იყო, რომ თბილისის ტრიომ (1577 ქულა) ამ ვარჯიშში ქუთაისის კოლექტივთანაც (1619) წააგო და აფხაზეთის მსროლელებთანაც (1585). აჭარის გუნდი 1476 ქულას დასჯერდა.

„გაქცეულ ტახზე" სროლაში სოხუმელმა პირველთანრიგოსანმა ა. გოროდიანკინმა 338 ქულა მოაგროვა და 22 ქულით აჯობა თბილისელ ი. ელოვენკოს, მაგრამ, ვინაიდან სოხუმელს თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს, აფხაზეთის კოლექტივი ამ ვარჯიშში საერთოდ საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა.

შედარებით დაძაბული გამოდგა ჭაბუკთა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა სროლაში. ქუთაისის გუნდის წევრმა ე. ჩეჩელაშვილმა, აგრეთვე, თბილისელებმა პ. ჩაჩანიძემ (პირად შეჯიბრებაში გამოდიოდა) და ა. არუთინოვმა 577-577 ქულა მოაგროვეს. I ადგილი ქუთაისელს მიეკუთვნა, ვინაიდან ბოლო ხერიაში მან ყველაზე უკეთ ისროლა და 98 ქულა დააგროვა. ჩაჩანიძესა და არუთინოვს კი 97-97 ქულა დაუგროვდათ. II ადგილის ბედის გასარკვევად საჭირო გახდა ბოლოსწინა სერიის შედეგების გადასინჯვა, აქ კი ჩაჩანიძეს მეტოქეზე ქულით მეტი აღმოაჩნდა.

ასევე საინტერესოდ წარიმართა ჭაბუკთა შეჯიბრება მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში. კალიშმა განსაკუთრებით კარგად ისროლა სილუეტებზე — 300-დან 295 ქულა მოაგროვა, რამაც ვარჯიშის ჯამში 573 ქულით დააწინაურა. ქუთაისელი ლ. გეგეშიძე მას ქულით ჩამორჩა. თბილისელებმა გ. კოსტოგრიზოვმა და ჰუსაინოვმა 571-571 ქულა მოაგროვეს და ადგილებიც ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს. გუნდური პირველობა თბილისელებმა მოიგეს — 1710 ქულა. აჭარის გუნდის წევრი, მეორეთანრიგოსანი ნ. სტრელცოვი შეჯიბრების წესის დარღვევისთვის ასპარეზობიდან მოიხსნა. ამიტომ მისი კოლექტივი 1097 ქულას დასჯერდა.

ო. ივლოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

• • •

## სხვა ტექნიკური შედეგები

**გოგონები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. სტანდარტი 3×20.** ე. ლიაშენკო (თბილისი) — 556, ლ. ენუქიძე (ქუთაისი) — 543, დ. პეტრიაშვილი (თბილისი) — 521. **წოლელა 60 გასროლა.** ლიაშენკო — 582, ენუქიძე — 576, ლ. დუდკა (თბილისი) — 568. **მრგვალ სამიზნეებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლა.** ლ. უშვერიძე (ქუთაისი) — 254, ლ. ხუციშვილი — 253, ე. თომაშვილი (ორივე — თბილისი) — 250. **პნევმატური პისტოლეტი.** ხუციშვილი — 356, ლ. გოგიაშვილი (ქუთაისი) — 353, უშვერიძე — 352. **პნევმატური შაშხანა.** ლიაშენკო — 358, ვ. ბიკოვა (აჭარა) — 251.

**ჭაბუკები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. სტანდარტი 3×20.** ა. არუთინოვი (თბილისი) — 555, ა. კოკულინცევი (თბილისი, პირადი) — 552, ი. ჯოლია (აფხაზეთი) — 551. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. მრგვალ სამიზნეებზე 60 გასროლა.** ო. სვანიძე (თბილისი) — 531, მ. გეგეშიძე (ქუთაისი) — 527, ა. მოროზოვი (აჭარა) — 521. **სილუეტებზე 60 გასროლა.** მ. ესაძე (ქუთაისი) — 582, ე. ჰანტურიძე (აფხაზეთი) — 580, ლ. გეგეშიძე (ქუთაისი) — 577. **პნევმატური შაშხანა.** ა. გოროდიანკინი (აფხაზეთი) — 340, ჯოლია — 334, პ. ჩაჩანიძე (თბილისი) — 330.

## წითელი წყარო

ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში ჩატარდა რაიონის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. გაიმარჯვეს ზემომაჩხაანელებმა. მათვე დაისაკუთრეს „კოლმეურნის" რაისაბჭოს გარდამავალი თასი. დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები გუნდი.

შ. წყარუაშვილი.

# ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

## მშდ კომპლექსიდან — დიდ სპორტამდე

აშხაბადის სტადიონ „სტროიტელზე" დიდი სპორტული დღესასწაულით დაიწყო თურქმენეთის X სპარტაკიადა, რომელიც რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. ასპარეზობის პროგრამაშია სპორტის 25 სახეობა. სპარტაკიადა ტარდება ასეთი დევიზით: „მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნიდან — დიდ სპორტში გამარჯვებამდე".

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივები რესპუბლიკაში უკვე 120 ათასზე მეტმა ადამიანმა ჩააბარა. მშდ კომპლექსის პროპაგანდის მაღალ დონეზე დაყენებისთვის ჩარჯოუს საოლქო, ბეზმეინისა და აშხაბადის საქალაქო სპორტკომიტეტები დაჯილდოვდნენ თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.

საიუბილეო რესპუბლიკური სპარტაკიადა გახსნა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჩ. ატაევმა.

აშხაბადი.

## ყველაფერი მშდ კომპლექსისთვის...

ხაბაროვსკის მხარეში მშდ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის პროპაგანდისა და ნორმატივების მასობრივად ჩაბარებისთვის ბევრი რამ კეთდება: ეწყობა საქარხნო სპარტაკიადები, ჩემპიონატები ახალი კომპლექსის მრავალჭიდში, კონკურსები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში და ა. შ. ყოველი მესამე კაცი მშდ კომპლექსის ნიშნოსნის სახელისთვის იბრძვის.

ეს ითქვა სამხარეო პროფსაბჭოს პლენუმზე, რომელმაც განიხილა პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები მასობრივი სპორტის განვითარებაში.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სამეურნეო ორგანოებმა და პროფკავშირულმა კომიტეტებმა გაზარდეს ასიგნებანი ფიზკულტურისა და სპორტისთვის, პირველ ყოვლისა კი მატერიალური ბაზის განმტკიცება-გაფართოებისთვის.

ამჟამად ხაბაროვსკის მხარის მშრომელთა განკარგულებაშია 24 სტადიონი და 70-მდე სათხილამურო ბაზა, ათობით სპორტული ბაზა, აუზი. საწარმოებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობილია 1700 მარტივი სპორტული მოედანი.

ვ. დერგუნოვი.

ხაბაროვსკი.

## „საიუბილეო" სამკერდე ნიშანი

ლენინაბადის № 31 ავტობაზაში მშდ კომპლექსის მეხუთასე სამკერდე ნიშანი ამ საწარმოს ვეტერანს, ოთხი შვილის დედას, 46 წლის მ. ნურიახმედოვას შეხვდა.

... ორი წლის წინათ ბაზაში მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისია შეიქმნა. უამრავი სამუშაო ჰქონდათ: საჭირო იყო არა მარტო შეჯიბრებების მოწყობა, არამედ იმის დამტკიცებაც, რომ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში რეგულარულად მეცადინეობას უდიდესი სარგებლობა მოაქვს. აქტივისტები აკრავდნენ პლაკატებს, მუშა-მოსამსახურეებს უჩვენებდნენ სპორტულ ფილმებს, ბაზაში გამოსვლებისთვის იწვევდნენ ქალაქის მოწინავე სპორტსმენებს...

ავტობაზაში რვაასამდე ადამიანი მუშაობს და ყველამ გადაწყვიტა მშდ კომპლექსის სტარტზე გამოსვლა. შედგა საწვრთნელ მეცადინეობათა გრაფიკი, გამოიყო დღეები ქალაქის „სპარტაკის" სტადიონზე ნორმატივების ჩასაბარებლად. საწარმოში ხუთასი ნიშნოსანია და მათგან თექვსმეტმა „ოქრო" მოიპოვა.

ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტები: 1972 წლის პირველ კვარტალთან შედარებით წლეულს ავადმყოფობის გამო სამუშაოს გაცდენის შემთხვევა 139-ით ნაკლები იყო. ბევრმა გაიკაჟა ჯანმრთელობა, აიმაღლა შრომისუნარიანობა. ეს კი მშდ კომპლექსის მთავარი მიზანია.

ვ. ბუჩკოვსკი.

ლენინაბადი.

## მშდ და შრომისნაყოფიერება

ყაზახეთის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამრეწველო საწარმოებმა ორ წელიწადში, მშდ ახალი კომპლექსის შემოღების შემდეგ, 2 ათასი სპორტული მოედანი მოაწყვეს. შეიქმნა 5800 ჯგუფი ნორმატივების ჩამბარებელთა მოსამზადებლად, მშდ კომპლექსის საზოგადოებრივი კომისიები. ახალი კომპლექსის პროპაგანდაში ჩაბმული არიან პროფკავშირების ბიბლიოთეკები, კლუბები, წითელი კუთხეები. აქამად ბევრ საწარმოში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებშია შეტანილი.

აი, კიდევ რამდენიმე საინტერესო შედეგი: აჩისაის პოლიმეტალების კომბინატში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა დაახლოებით 50 პროცენტი რეგულარულად მონაწილეობს სპორტში, ეკონომისტები გამუდმებით თვალს ადევნებენ მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ეფექტურობას. გამოირკვა, რომ შარშანდელი წლის მანძილზე სპორტში მომეცადინეთა შრომისნაყოფიერება თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა.

ვ. ევდოკიმოვი.

ალმა-ათა.

## კომბინატის ახალი ბაზა

კურგანის სამედიცინო პრეპარატების კომბინატის ფიზკულტურელებს ახალსახლობა აქვთ: ქალაქის ამ უდიდესი სამრეწველო საწარმოს მთავარი შენობების ახლოს მშენებლებმა ააგეს ჯანმრთელობის სახახლე, რომელშიც ოთხი სპორტული დარბაზი შედის.

მძლეოსნობისა და ძალოსნობის, ფრენბურთისა და კალათბურთის, კლასიკური ჭიდაობისა და სამბოს, მაგიდის ჩოგბურთისა და ხელბურთის სექციებში ამჟამად ქარხნის ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურეა გაერთიანებული.

ხუთწლედის დასაწყისიდან კურგანში ოცდაათამდე სპორტული დარბაზი აშენდა.

ნ. სტიაჟკინი.

კურგანი.

## ცურვის სეზონი... ყიზილყუმში

ქალაქ ზარაფშანში გაიხსნა სპორტული აუზი. ერთი შეხედვით, ამაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ზარაფშანი ყიზილყუმის უდაბნოს ცენტრში მდებარეობს. და იქ, სადაც წყლის ყოველი წვეთი ოქროდ ფასობს, დაიწყო ცურვის სეზონი.

საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი სტადიონის გვერდითაა აგებული. მთავარი აუზის ზომაა 50×20 მეტრი. ორი აუზი გამოყოფილია წყალში ხტომისთვის და ნორჩი სპორტსმენების წვრთნისთვის.

ქალაქში წყალი ამუ-დარიიდან შემოდის 265-კილომეტრიანი ფოლადის მილგაყვანილობით.

გ. იგნატიევი.

ზარაფშანი.

## „ელიტა" კალათბურთელებისთვის

ტალინის რეზინის ნაკეთობათა ქარხანა „ტეგურის" ოსტატებს ნამდვილი იუველირის ოსტატობა სჭირდებათ კალათბურთის ბურთების დამზადებისას, რომელთაც სახელად „ელიტა" ჰქვიათ. ამ ბურთების საცდელი პარტია უკვე გაიგზავნა მოსკოვში ქვეყნის ნაკრებისთვის. სპორტსმენთა ყველა შენიშვნა გათვალისწინებული იქნება „ელიტის" მასობრივად გამოშვების დროს. „ტეგური" ჯერჯერობით საბჭოთა კავშირში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ასეთ ბურთებს ამზადებს.

ამავე საწარმოში მზადდება კოსტიუმები წყალქვეშ ცურვისთვის, ჰოკეის შაიბები და სხვა სპორტინვენტარი.

ჯ. იუროვი.

ტალინი.




# ცენტრალური წრე

### ვ. ივანოვი

ახლა იმაზე ვიფიქროთ, ვინაა ცოლი ქმრისთვის. რასაკვირველია, პირველ ყოვლისა ისაა ახლაგაზრდა, ლამაზი ქალი, რომელსაც ქმარი უყვარს, ამაყობს მისით, სულ მასთან ყოფნა სურს. ეს სასიამოვნოა, ეს საპასუხო გამოძახილს ბადებს. ამასთან, ცოლს აცვია მოდური კოსტიუმი, რომელიც სრულ ჰარმონიაშია მთელს ტუალეტთან, და რქის ჩარჩოში ჩასმული კვამლისფერი სათვალე უკეთია. მატჩზე მან მოიტანა „ინოსტრანნაია ლიტერატურის“ ახალი ნომერი, სადაც არტურ ჰეილის გახმაურებული რომანი „აეროპორტი“ იბეჭდება. იგი ამბობს, სანამ ქმარი თბილისში იყო წასული, მე კინოს სახლში ვნახე ფილმი ჟან გაბენის მონაწილეობით, რომელიც ჩვენში არსად გავაო.

და ქმარი დარწმუნებულია, რომ მშვენივრად იცნობს თავის მეგობარს. იგი ჯერ კიდევ არ არის იმდენად გამოცდილი, რომ ჭეშმარიტებას ჩასწვდეს, მიხვდეს, რომ ახალი რომანიც და ახალი ფილმიც მხოლოდ და მხოლოდ მოდის აყოლაა, რომ ჩვენს დროში უცხოური კოსტიუმიცა და კვამლისფერი სათვალეც იმისთვისაა საჭირო, რომ თანამედროვედ გამოიყურებოდე, რომ ეს ადვილად ეთვისება თაროებზე ჩამწკრივებულ სპილოებს, ჟურნალებიდან ამოჭრილ და მოოქრულ ჩარჩოებში ჩასმულ ბრიჟიტ ბარდოს სურათებს, იმის მტკიცე რწმენას, რომ, თუმცა ღმერთი არ არის, კარტი მუდამ სიმართლეს ამბობს.

მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ქმრისთვის ძალიან ძნელია იმდენად ამაღლება მათს დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულებებზე, რომ გაიგოს ერთი რამ: ცოლს ის კი არ უყვარს, მას კი არ უძღვნას ხელსა და გულს, არამედ თავის მიერვე გამოგონილ გმირს — ჩემპიონს, პოპულარულ ფორვარდს ან მეკარეს, და არა ვიღაც პეტია სიდოროვს ან ვასია პეტროვს, ადამიანს, რომელსაც ყველა ადამიანური სისუსტე ახასიათებს, უყვარს ნივრიანი ბორში, ძილში ხვრინავს, ცირკში პირდაღებული ხარხარებს და ოპერაში ამთქნარებს. ეს ადამიანი მას ჯერ კიდევ გასაცნობი ჰყავს და, კაცმა არ იცის, სასიამოვნო იქნება თუ არა ნაცნობობა.

მაგრამ განა ცოტანი არიან ამ ქვეყანაზე თავქარიანი ახალგაზრდები, გაცნობის მეორე დღესვე თავქუდმოგლეჯილი მმაჩ-ში რომ გარბიან? და განა ასეთი რამ მარტო ფეხბურთელებს მოსდით?

არა, სხვებსაც მოსდით — შოფრებსაც, ბუღალტრებსაც, მეფოლადეებსაც, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებსაც კი. მაგრამ ფეხბურთელებში ასეთი შემთხვევები მაინც უფრო ხშირია. ასეთია ჩვენი ცხოვრების სპეციფიკა. ძალიან ადრე ვეჩვევით თავისუფლებას, სახელს, დამოუკიდებლობას. საკუთარი თავისთვის ფეხბურთი ძალიან ცოტა დროს გვიტოვებს.

ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. არის მეორეც, გარეშე თვალისთვის ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ უფრო დრამატული.

ადამიანები ერთად იწყებენ ცხოვრებას და საკმაოდ მალე ყველაფერი ირკვევა. ზოგჯერ, ორივე მხარის გასახარად, აღმოჩნდება, რომ უთანხმოების გადალახვა შეიძლება, რომ თითოეული მზადაა „ოჯახის სამსხვერპლოზე“ მიიტანოს რაღაც პირადი სისუსტეები და ჩვევები, რომ ახალგაზრდებს უფრო ბევრი რამ აერთიანებთ და აკავშირებთ, ვიდრე აშორებთ. ამასთან, ორივე ახალგაზრდაა, ორივე იმ ასაკშია, როცა ჩვევებს ჯერ კიდევ ღრმად არა აქვს ფესვები გადგმული, როცა ურთიერთგავლენა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

და, თუ აღმოჩნდება, რომ ერთად ცხოვრება წარმოუდგენელია, მაშინ შეცდომის გამოსასწორებლად გადაწყვეტილების მიღება არც ისე გვიანაა. შვილები არა ჰყავთ, ყველაფერი წინა აქვთ, შეუძლიათ კიდევ ერთხელ სცადონ ბედნიერების პოვნა. პირველმა წარუმატებლობამ გამოცდილებით გაამდიდრა ისინი, ასწავლა, ფაფისკენ დამწვრებმა დოს როგორ შეუბერონ.

ფეხბურთელის ოჯახში ბედნიერების, ურთიერთკმაყოფილებისა და კეთილდღეობის ილუზიამ შეიძლება იარსებოს არა ერთ ან ორ, არამედ ათ წელიწადსაც კი, მანამ, სანამ ქმარი თამაშობს, ესე იგი თავის ცოლს ისევე იშვიათად ხედავს, როგორც მაშინ, როცა ლუჟნიკის სტადიონის გათბობის ბატარეასთან ხვდებოდნენ ერთმანეთს.

და მთელი ეს ათწლეული ისინი სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობენ. ქმარმა არ იცის, რა აინტერესებს ცოლს, ვის ხვდება, რა წიგნებს კითხულობს. ცოლისთვის ქმარი კვლავინდებურად ფეხბურთის გმირია, რომელიც მასთან მოფრინავს ხან დასავლეთიდან, ხან აღმოსავლეთიდან, ხან ჩრდილოეთიდან, ხან სამხრეთიდან, მოფრინავს და მისთვის ძვირფასი, ლამაზი საჩუქრები ჩამოაქვს.

ერთად გატარებული დრო მათთვის ნამდვილი დღესასწაულია. როგორ გამოიმეღავნებს თავს თითოეული ჩვეულებრივ დღეს, მათ ვერ წარმოუდგენიათ და გარკვეულ დრომდე არც ფიქრობენ ამაზე.

მერე კი ჩვეულებრივი დღეები მაინც მოდის. ეს ხდება ადრე თუ გვიან. ეს ხდება მაშინ, როცა ქმარი ფეხბურთს ეთხოვება. ახლა მათ დილაობით ერთად უნდა გაიღვიძონ, ბავშვები სკოლისთვის მოამზადონ, ერთად უნდა იფიქრონ არსობის პურზე. ადამიანი დიდ სპორტთან განშორებას მტკივნეულად განიცდის. უნდა ეძებო საქმე, რომელიც შენს სულსა და გულს მოეწონება. სულ რაღაც გაქლია — თვითონ თამაში, ამხანაგები, რომლებიც მუდამ შენთან არიან, ტაში, აეროდრომები, უცხო, უცნობი ქალაქები. იწყება სპორტის სევდა, ნოსტალგიის ერთიერთი სახე. შენ გიმძიმს, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი გაივლის, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და სადაც გაქრება. მაგრამ ასეთ დღეებსა და თვეებში შენთვის ჰაერივით აუცილებელია მეგობრის მაგარი მხარი. ვინ შეძლებს ამას ცოლზე უკეთ?

მაგრამ თუ ცოლი მეგობარი არ არის? თუ მას სუსტი მხრები აქვს? მაშინ საქმე ცუდადაა. მაშინ ჩნდება პირველი ბზარი ურთიერთობაში.

ცოლი კი უცებ აღმოაჩენს, რომ მისი ქმარი სულაც არ არის ტყავის ბურთის უზადო რაინდი. ყოველ დღეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი მოაქვს ამისა. ცოლი არკვევს, რომ ახალ ასპარეზზე ქმარმა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს, ვთქვათ, საქარხნო კოლექტივში მწვრთნელად წავიდეს, სადაც სამუშაო ბევრია, ხელფასი კი — ნაკლები, სადაც ყველაზე შორეული მოგზაურობა ქალაქ ლიუბერტის გუნდთან მატჩზე წასვლაა. და ვინ იცის, დიდხანს გაგრძელდება ცხოვრება უმარავანდედოდ, რომელიც ქმარს თავს ადგა და ცოლს კი ათბობდა? იქნებ, ქმარს არცა აქვს მწვრთნელის ნიჭი? როგორ მოიქცნენ? რას უმზადებს მათ ხვალინდელი დღე? და ისევ — ბზარი...

მაგრამ ისინი უკვე ოცისა კი აღარ არიან, არამედ ოცდაათზე მეტისა. ჰყავთ შვილები, აქვთ ბინა, ამ წლების განმავლობაში შეძენილი [...] ხება. მაგრამ მაინც უცხონი არიან ამ ასაკში ყველაფრის [...] სა ეშინიათ. მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც განქორწინებისა შეეშინდათ და ერთად ათრევენ თავიანთ წუთისოფელს, თითქოს ერთი ბორკილი ედოთ, ეს იმიტომ, რომ საერთო მათ არაფერი ჰქონიათ და არცა აქვთ. ვიცი ისეთი სკანდალური შემთხვევებიც, როცა გაყრის დროს ნივთებსაც იყოფენ: „შენ — ბინა, მე — მანქანა, შენ — რადიომიმღები, მე — მაცივარი“.

რასაკვირველია, სხვაგვარადაც ხდება: ხდება, ცოლ-ქმრული კავშირი ბედნიერი აღმოჩნდება, ხდება, ადამიანები თავიდანვე „გამოიცნობენ“ ერთმანეთს და პირველივე შეხედვით ზუსტ არჩევანს აკეთებენ.

ხდება ისეც, როგორც მე და ლიდას ცხოვრებაში მოხდა.

...მატჩის შემდეგ ტანსაცმელს ვიცვლიდით და გასახდელიდან გამოვდიოდით. მე, როგორც ყველა, ვიყურებოდი გასწვრივ და ოდნავ მარცხნივ. ოღონდ ბატარეისკენ კი არა, არამედ უფრო შორს. ის იქ იდგა, ბნელ კუთხეში, და ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო. იგი, სწორედ ამიტომ, მთელ თამაშს კი არ ესწრებოდა, არამედ მატჩის ბოლოს მოდიოდა, ტრიბუნაზე იშვიათად ჩნდებოდა. ჩვენ ვცდილობდით სტადიონიდან სათადარიგო გასასვლელით გავპარულიყავით, იქიდან, სადაც ხალხი არ იდგა და სატვირთო მანქანებს სურსათი შემოჰქონდათ ლუჟნიკის მრავალრიცხოვანი ბუფეტებისა და რესტორნებისთვის.

ჩვენ არ ვეძებდით დიდ კომპანიებს, მარტო გვიყვარდა ყოფნა.

როცა ცოლ-ქმარი გავხდით, ჩვენს სახლში ყოველი მატჩის შემდეგ დიდი ხალხმრავლობა იყო. ჩემი ამხანაგები თავიანთი ცოლებითა და გოგოებით დიდი სიამოვნებით მოდიოდნენ ჩვენთან. ახლა მე მესმის: ლიდას უნდოდა, რომ ასეთ დღეებში მე შინ მდომოდა წასვლა, რომ ჩემთვის სასიამოვნო ყოფილიყო მეგობრების დაპატიჟება, რომ შინ თავი ისე მეგრძნო, როგორც შინ (მაპატიეთ ეს უნებლიე კალამბური).

მან ჩემზე ადრე დატოვა სპორტი — ორი ბავშვის დედა იყო. ხოლო, როცა ჩემი ჯერი დადგა, იგი მე მღელვარებისა და განცდებისგან მიცავდა, როგორც კეთილი ძიძა — ჯიუტ ბავშვს. უკვე მრავალი წლის შემდეგ გავიგე, რომ ის ხანგრძლივ მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩვენს მაშინდელ მწვრთნელთან — ადამიანთან, რომელსაც მაინცდამაინც დიდი მიდრეკილება არ ჰქონდა დელიკატობისკენ, იმაზე, თუ როგორ ექცია ჩემთვის ეს წასვლა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, როგორ ეპოვა ჩემთვის ისეთი სამუშაო, რომ „ტორპედოს“ არ დავშორებოდი. მას შეეძლო ყველაფერი ეს, მას ყველაფერი ესმოდა, იმიტომ, რომ თვითონ იყო მშრომელი ადამიანი, რომ ჩემი ინტერესები ისევე ახლოს მიჰქონდა გულთან, როგორც საკუთარი.

თქმა არ უნდა, მე აქაც გამიღიმა ბედმა. და აი, ახლა, როცა „საფეხბურთო ქორწინებებზე“ და „საფეხბურთო ოჯახებზე“ ზედმეტი ოპტიმიზმის გარეშე ვმსჯელობ, მე მომიხდა არა საკუთარი გამოცდილებით სარგებლობა, არამედ უფრო იმ საქმეებისა და მოვლენების გახსენება, რომელთა მოწმეც ვიყავი, რომლებიც ჩემს თანაკლუბელებსა და სხვა გუნდების ფეხბურთელებს გადახდათ.

გამოგიტყდებით, მე განზრახ გავამუქე ფერები — ფეხბურთელებშიც მრავლად არიან ბედნიერი ქმრები. ასე იმისთვის მოვიქეცი, რომ მეჩვენებინა, თუ რა სიძნელეებს იწვევს ფეხბურთი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში, რა წყალქვეშა რიფებს გვახვედრებს იგი გზაზე, გვახვედრებს შორს საფეხბურთო მინდვრიდან, იქ, სადაც მას ყველაზე ნაკლებად ველით.

ამ წიგნში ერთადერთი არასაფეხბურთო საუბარი დასასრულს უახლოვდება და მე წინასწარ ვგრძნობ შეკითხვებს: კი მაგრამ, რისთვის დაიწყო ეს საუბარი ავტორმა? რას გვთავაზობს იგი, იცის მან ბედნიერი ცოლ-ქმრობის რეცეპტები? ნუთუ ჰგონია, რომ, როცა მის სენტენციებს წაიკითხავენ, ფეხბურთელები ადრე აღარ დაქორწინდებიან?

თუ ჩემგან ამ შეკითხვებზე პასუხებს ელით, მაშინ ძალიან ბევრი მოგინდომებიათ. დასკვნები და განზოგადებანი ოჯახისა და ქორწინების პრობლემებზე ფეხბურთელისა და ფეხბურთელთა მწვრთნელის მოვალეობაში არ შედის. ჩემი საქმეა ლაპარაკი თამაშზე და მოთამაშეებზე, იმაზე, თუ როგორ ეწყობა ჩვენი ცხოვრება, რა სიხარული და სინანული მოაქვს ფეხბურთს ფეხბურთელებისთვის. დასკვნები? დასკვნები მკითხველს შეუძლია თვითონ გააკეთოს, ჩემი მონაყოლის თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან და შეხედულებებთან შეპირისპირებით.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64, 66, 70, 71, 75, 82, 83, 90, 92, 95.

## ფეხბურთი

### II ლიგა III ზონა

15 მაისს გამართული მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები ასე დამთავრდა:

„დინამო“ (კიროვაბადი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:1, „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:0, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 3:0, „დინამო“ (ვოლოგდა) — „კოლხეთი“ (ფოთი) 4:0, „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1, „ურალანი“ (ელისტა) — „დილა“ (გორი) 1:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0.

### სსრ კავშირის პირველობა
### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 8 | 7 | 1 | 0 | 14—3 | 15 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 8 | 6 | 0 | 2 | 12—4 | 12 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 8 | 5 | 2 | 1 | 11—4 | 12 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 8 | 4 | 3 | 1 | 7—3 | 11 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 6 | 5 | 0 | 1 | 11—3 | 10 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 8 | 4 | 2 | 2 | 12—6 | 10 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 8 | 3 | 4 | 1 | 10—7 | 10 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 7 | 3 | 3 | 1 | 7—4 | 9 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 8 | 4 | 1 | 3 | 7—7 | 9 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—5 | 7 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 7 | 2 | 2 | 3 | 10—9 | 6 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 8 | 2 | 2 | 4 | 8—9 | 6 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 8 | 1 | 4 | 3 | 5—8 | 6 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 8 | 3 | 0 | 5 | 8—13 | 6 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 8 | 2 | 2 | 4 | 3—9 | 6 |
| „დილა“ (გორი) | 7 | 1 | 2 | 4 | 5—11 | 4 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 7 | 1 | 2 | 4 | 2—8 | 4 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 8 | 1 | 1 | 6 | 3—9 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 7 | 0 | 3 | 4 | 4—13 | 3 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 6 | 0 | 1 | 5 | 2—11 | 1 |

## 3:2

**დრეზდენი, 16 მაისი.** გდრ-ის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის აქ გამართული პირველი ფინალური მატჩი მოუგო უნგრელებს — 3:2 (1:2).

საპასუხო შეხვედრა უნგრეთში ჩატარდება.

## ჩემპიონატები, მატჩები, ცნობები

### იუგოსლავია

ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა სპლიტის „ჰაიდუკმა“, რომელმაც 45 ქულა მოაგროვა 34 მატჩში. ამდენივე ქულა აქვს მოსტარის „ველეჟს“, მაგრამ ბურთების უარესი ბალანსის გამო იგი 11 ადგილს დასჯერდა.

„ჰაიდუკი“ იუგოსლავიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი (დაარსდა 1911 წელს) და პოპულარული გუნდია. „ოსტატები ზღვიდან“, როგორც ამ კლუბის ფეხბურთელებს ეძახიან, ომის წლებში პარტიზანულ ნაწილებში გმირულად ებრძოდნენ ფაშისტ დამპყრობლებს, რისთვისაც მთავრობამ კლუბი დააჯილდოვა იუგოსლავიის ორდენით — „ხალხის წინაშე დამსახურებისთვის“.

ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა მ. მილიანიჩმა იმ 40 ფეხბურთელის სიაში, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან, „ჰაიდუკის“ 10 მოთამაშე შეიყვანა. მათ შორის არიან სახელგანთქმული ოსტატები: ობლაკი, ჟურიაკი, ჰოლცერი, ბულიანი...

## ტიპი და ტაპი გვატყობინებენ

სულ ახალ-ახალი ცნობები მოდის ბრაზილიიდან. მართალია, ზოგიერთი ცნობა ფაქტებით არაა დასაბუთებული, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მსოფლიო ჩემპიონთა ქვეყანაში ყველაფერი რიგზე ვერაა და ფეხბურთის იქაური მესვეურნი კვლავ ეძებენ თავიანთი გუნდის ოპტიმალურ შემადგენლობას.

მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატზე გასაგზავნ ფეხბურთელთა სიაში გერსონი არ ირიცხება და თვით მანაც განაცხადა, რომ არა აქვს ნაკრებში მოხვედრის იმედი, ხოლო დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრება, როგორც კორესპონდენტი.

მაგრამ სულ ახლახან „ფლუმინენსეს“ ერთ-ერთ მატჩში გერსონმა უწინდებური ბრწყინვალებით ითამაშა. როგორც დირიჟორი, იგი შეუდარებელი იყო. ბრაზილიელთა მწვრთნელმა ზაგალომ არ დააყოვნა და მაშინვე სთხოვა გერსონს ნაკრებს დაუბრუნდიო.

ამ ამბავს სასწრაფოდ გამოეხმაურნენ გაზეთები. ისინი უკვე წერენ, რომ გუნდის შემტევ ძალას ჟაირზინიო — გერსონ — მირანდინია — პაულო ცეზარ — რიველინოს სახით წინ ვერავინ დაუდგება.

ბრაზილიური გაზეთები წერენ, აგრეთვე, რომ ნაკრებში თავი გამოიჩინა „ბოტაფოგოს“ ახალგაზრდა მოთამაშემ მარინიომ. მის ქება-დიდებას ბოლო არ უჩანს. საერთო აზრი ასეთია: უაღრესად მაღალტექნიკური, ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებული, ტემპერამენტიანი, აქტიური, დიდი ტაქტიკური ალღოთი დაჯილდოებული მარინიო ბრაზილიელთა დაცვის ღერძად იქცევა.

**გფრ-ის** ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა გ. მიულერმა ამას წინათ ჟურნალისტებს განუცხადა, ფინალში ჩვენ და იტალიელები გავალთო.

მიულერის სიტყვებს ნაკრების მწვრთნელმა ჰ. შიონმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: „თუ „ბარსელონა“ დროზე არ გამოუშვებს ნეცერს, მსოფლიო ჩემპიონატში ძალიან გაგვიჭირდება. ნაკრების შუა ხაზში იგი ერთადერთია, ვისაც შეიძლება დავეყრდნოთ. ნეცერი და ბეკენბაუერი — აი, გუნდის ხერხემალი“.

**მსოფლიო** ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებს ამ ქვეყნის მხოლოდ ერთი მკვიდრი — 23 წლის უილიამსი, ერთ-ერთი იმ ტომის შთამომავალი, რომელიც „მწვანე კონტინენტზე“ ცხოვრობდა თეთრკანიანთა ჩასვლამდე დიდი ხნით ადრე.

ავსტრალიური გაზეთები აღნიშნავენ, რომ უილიამსი გუნდთან ერთად იმყოფება შეკრებაზე, მაგრამ გული მაინც მშობლიური სავანეებისკენ მიუწევს.

**პოლონეთის** ნაკრებმა ვარშავაში გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 2:0 დაამარცხა საბერძნეთის ეროვნული გუნდი. ბურთები გაიტანეს ლიატომ და იაკუბჩიკმა.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

# მოულოდნელი არაფერი მომხდარა

იქნებიან თუ არა ნახევარფინალებში გამარჯვებული საბჭოთა დიდოსტატები ვ. კორჩნოი და ა. კარპოვი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერის უძლიერესი მეტოქეები? — ეს საკითხი ირჩეოდა ოთხი პრეტენდენტის ბრძოლაში ლენინგრადსა და ოდესაში. ახლა სრული საფუძველი გვაქვს, რომ ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი გავცეთ.

ჭადრაკის ისტორიას გვირგვინისთვის გაჩაღებულ ბრძოლებში შემთხვევითობა არ ახსოვს. პირველი ექვსი ჩემპიონის სახელები — ვ. სტეინიციდან მ. ბოტვინიკამდე — საჭადრაკო ხელოვნების განვითარებაში მემკვიდრეობითობის არსებობასა და საბჭოთა საჭადრაკო სკოლის პროგრესზე მეტყველებენ.

აქვე დავუმატებ, რომ უმაღლესი კლასის ოსტატს, გარდა დიდი ცოდნისა და თამაშის დახვეწილი ტექნიკისა, სჭირდება მზადების მეცნიერულ საფუძვლებზე აგებული სისტემა, დიდი ნებისყოფა ბრძოლისა და გამარჯვებისთვის.

ვწერ ამ სიტყვებს და თვალწინ მიდგას დაუცხრომელი კორჩნოი, რომელიც თავის უმაღლეს მიღწევებს უნდა უმადლოდეს ღრმად გააზრებულ გამოცდილებას, კომბინაციურ ჩანაფიქრთა მასშტაბებს, პარტიის ყველა სტადიაში „შეუნიღბავად" თამაშს. ოდესაში მან მართლაც დიდი წარმატება მოიპოვა. ვერც ერთი სხვა დიდოსტატი ვერ შეძლებდა „რკინის" ტ. პეტროსიანისთვის ხუთ პარტიაში 3,5 ქულა „გამოეგლიჯა ხელიდან".

კორჩნოის მიერ უმწვავეს გართულებებში და ენდშპილის უფაქიზეს „აბლაბუდაში" მოპოვებული სამი გამარჯვება ძვირფასი მასალაა შესასწავლად და მისაბაძად. როგორც დიდოსტატი ე. გელერი ამბობს, „პეტროსიანმა ვერ გამოიჩინა მისთვის დამახასიათებელი გამომგონებლის ნიჭი" და ვერ დაძლია წარუმატებლობა სტარტზე.

შეიძლება მსოფლიოს ექს-ჩემპიონის თამაშში შექმნილი სიძნელეები ასაკთან იყო დაკავშირებული, რაც უსიამოვნო ცაიტნოტებს იწვევდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ფიდე-ს პრეზიდენტი, დოქტორი მ. ეივე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ კორჩნოის თამაში, რომელიც დინამიზმით გვიტაცებს, მსოფლიო ჩემპიონ ე. ლასკერის ორიგინალურ სტილს ჰგავს, რომ ამ თამაშთან შეჩვევა ძალიან ძნელია, როცა კორჩნოი მის სადავეებს ფლობს.

უდიდესი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადის მატჩმა. ამას ხელი შეუწყო ორივე მოჭადრაკის პოპულარობამ, ცხოვრებისეულ გამოცდილებაში არსებულმა საკმაო სხვაობამ, რაც მთავარია, მეტოქეთა სტილისა და თამაშის თავისებურებამ.

არ არის გასაკვირი, რომ ნევის ნაპირებზე გაჩაღებული საჭადრაკო ბატალიები სავსე იყო ამაღელვებელი ეპიზოდებით, მოულოდნელი დრამატული სიტუაციებით, რომლებიც ცხარე კამათს იწვევდა სპეციალისტთა და კომენტატორთა შორის მატჩის პრესცენტრში.

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ მოსკოვში პრეტენდენტთა ტურნირის დაწყებამდე ბოტვინიკმა განაცხადა: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ფინალში ჩემთვის კარგად ნაცნობი ყველაზე ახალგაზრდა, პრეტენდენტი გავაო. შემდეგ მან დასძინა: „ეს მოხდება მიუხედავად იმისა, თუ ვისთან მოუწევს თამაში კარპოვს შეჯიბრების პირველ ორ ეტაპზე". მაგრამ მაშინ მის აზრს ბევრი ექსპერტი როდი იზიარებდა.

37 წლის ბ. სპასკის გამარჯვებამ ა. კარპოვთან პირველ პარტიაში შავებით თამაშის დროს ექს-ჩემპიონის გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა. გამოითქვა აზრი, სპასკი მესამედ გაიმარჯვებს საჭადრაკო გვირგვინისთვის მებრძოლ პრეტენდენტთა ტურნირებშიო.

მაგრამ მეორე პარტია ყაიმით დამთავრდა (სპასკის წინადადებით) მე-17 სვლაზე, როცა დაფა ფიგურებით იყო სავსე. ამ პარტიამ კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია. სპეციალისტებმა ბრძოლაზე უარის თქმა დიდოსტატს ტაქტიკურ შეცდომად ჩაუთვალეს.

ეს დაამტკიცა უკვე მომდევნო შეხვედრამ. პარტია მოიგო კარპოვმა, რომელმაც გამოავლინა დიდი აქტივობა და საუცხოო ტექნიკა მოპოვებული პოზიციური უპირატესობის გამოყენებაში. ამას მოჰყვა ორი ყაიმი, ორივე — შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ.

და აი, მეექვსე პარტიაში სპასკიმ თეთრებით ახალი მარცხი იწვნია. როგორც დიდოსტატი ი. ბონდარევსკი (სპასკის მწვრთნელი) ამბობს, გადადებულ რთულ დაბოლოებაში საშინაო ანალიზის დროს მიაგნეს ყაიმისთვის ბრძოლის გზას, მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თამაშის განახლებისას სხვა, მცდარი სვლები აირჩია.

მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, რომ თამაშის მეხუთე საათზე რთულ სიტუაციებში სპასკის მდიდარი ფანტაზია და ტექნიკა შესამჩნევად სუსტდება. იგი პერსპექტიული მდგომარეობის დროსაც კი ვერ ახერხებდა გამარჯვებამდე მიეყვანა პოზიციური უპირატესობა (ასე იყო, მაგალითად, მერვე და მეათე პარტიებში).

23 წლის კარპოვმა კი, პირიქით, ამ მატჩში გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები — ბრძოლის უნარი და სითამამე, რაც აუცილებელია ჭადრაკში უმაღლეს დონეზე გამართულ პრინციპულ ბრძოლებში. მისი იერიში ვარიანტების ზუსტი შეფასების შედეგია. სახიფათო პოზიციების დაცვის დროს მან თავშეკავებაც გამოიჩინა და მიხვედრილობაც.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეცხრე და ბოლო, მეთერთმეტე პარტიებმა, რომლებმაც კარპოვს მოუტანა დამსახურებული გამარჯვება ანგარიშით 4:1 (ექვსი ყაიმი).

ლ. პოლუგაევსკისთან და სპასკისთან ბრძოლებში კარპოვის „გიგანტურ ნაბიჯებში" გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი ნიჭის მრავალმხრივობამ, შერწყმულმა კაპაბლანკასებურ ტექნიკასთან, აგრეთვე, სადებიუტო რეპერტუარის ფართო დიაპაზონმა და საპასუხისმგებლო სტარტებისთვის გულმოდგინე მზადებამ მწვრთნელ ს. ფურმანთან ერთად.

„ურალის თვითნაბადმა" ა. კარპოვმა დაძაბულ ბრძოლებში მოკლე ხანში შეძლო ოსტატობის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. დღეს იგი კაისას ყველაზე საიმედო ახალგაზრდა რაინდია.

**ი. როხლინი,**
საერთაშორისო არბიტრი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

● ●

## კარპოვი: ბრძოლა იოლი არ იყო

— ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო, — უთხრა ჟურნალისტებს მატჩში გამარჯვებულმა ა. კარპოვმა. — ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ამბავი, რომ ორთაბრძოლა მეთერთმეტე პარტიით დამთავრდა. მე მეგონა, რომ რეგლამენტით გათვალისწინებული ოციდვე პარტიის თამაში მოგვიხდებოდა.



შემოქმედებითი თვალსაზრისით მატჩის კმაყოფილი ვარ: შემხვდა ბევრი ახალი პოზიცია, აგრეთვე, პარტიები დებიუტებით, რაც სხვა დროს არ მითამაშია. ზოგჯერ შეცდომებიც მომდიოდა. ასე იყო, მაგალითად, მეშვიდე პარტიაში, სადაც აშკარა გამარჯვება გავუშვი ხელიდან, მაგრამ ასეა: ყველაფერს ვერ მიიღებ, თუ სამაგიეროდ არაფერი გაეცი...

● ●

## დიდოსტატთა აზრი მატჩზე

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა და ა. კარპოვის ნახევარფინალური მატჩის შემდეგ საკდესის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა დიდოსტატებს, რომლებიც ლენინგრადში გამართულ ამ საინტერესო შეჯიბრებას ესწრებოდნენ.

— კარპოვმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, — თქვა ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა ვ. ჰორტმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს ორთაბრძოლას. — მის თამაშში იგრძნობოდა მეცნიერული მიდგომა ჭადრაკისადმი. საგრძნობი იყო, აგრეთვე, მისი პირველი მასწავლებლის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ ბოტვინიკის გავლენაც.

— ბოლო პარტიის ფინალური სტადია კარპოვმა ძალიან ენერგიულად და თანმიმდევრულად ჩაატარა, — განაცხადა მეორე ნახევარფინალური მატჩის მონაწილემ ვ. კორჩნოიმ, რომელიც ლენინგრადის მატჩის ბოლო პარტიებს ესწრებოდა. — მისი გამარჯვება სავსებით დამსახურებულია.

— გაიმარჯვა მოჭადრაკემ, რომელიც წლობით და თვეობით კი არა, დღეებითა და საათობით იზრდება, — აღნიშნა დიდოსტატმა ა. კოტოვმა.

— კარპოვის დიდი მიღწევები თანამედროვე საჭადრაკო ცხოვრების ყველაზე საოცარ მოვლენებად უნდა მივიჩნიოთ, — თქვა დიდოსტატმა მ. ტაიმანოვმა. — ფაქტიურად, იგი უკვე ავიდა ოსტატობის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე და მალე ალბათ მისი ახალი წინსვლის მოწმენი გავხდებით.

ჭადრაკი

# ფინიშის პერსპექტივები

**საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება.** გ. ზაიჩიკი — ზ. აზმაიფარაშვილი 0,5:0,5, ე. უბილავა — თ. ლომაია 1:0, რ. ჯინჯიხაშვილი — ზ. მიქაძე 0:1, ზ. ბურჭულაძე (ყველა — თბილისი) — ლომაია 0:1, მიქაძე — ლ. ნეფრონოვი (ბათუმი) 0:1.

**XV ტური.** გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) — მ. შიპაშვილი 1:0, ქ. ჩიგოგიძე — ე. გუფელდი 0:1, ა. ბოკუჩავა (ყველა — თბილისი) — ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, მიქაძე — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0,5:0,5, აზმაიფარაშვილი — ბურჭულაძე 0,5:0,5, უბილავა — ზაიჩიკი 1:0, ლომაია — გ. კალატოზიშვილი (თბილისი) 1:0. ორი პარტია გადაიდო.

**15 ტურის შემდეგ ლიდერობენ:** უბილავა — 12,5 ქულა, გუფელდი — 11,5, ჯინჯიხაშვილი — 9,5, ზაიჩიკი — 8,5, ბუსლაევი — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია, მიქაძე, ბოკუჩავა — 7,5-7,5.

როგორც ჩანს, მიქაძესთან წაგების შემდეგ ჯინჯიხაშვილი შეურიგდა ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლის შანსის დაკარგვას: ბოკუჩავას იგი 12 სვლაში დაუზავდა.

ჩემპიონობისთვის პაექრობა უბილავასა და გუფელდს შორის მიმდინარეობს. მეტოქეებს მათ საგრძნობლად გაუსწრეს.

უბილავა თავისუფლად და დამაჯერებლად თამაშობს. ზაიჩიკმა ინგლისურ დაწყებაში ლაზიერები უკვე მე-7 სვლაზე გაცვალა. უბილავამ კიდევ რამდენიმე ფიგურა გააცვლევინა და პატარა უპირატესობა მიიღო. ახალგაზრდა მოჭადრაკემ თამაში ეტლების დაბოლოებაში გადაიყვანა. მსგავსი ენდშპილები ხშირად ყაიმით მთავრდება, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. ზაიჩიკი ზუსტად ვერ თამაშობდა. უბილავამ შეაფერხა შავი პაიკების წინსვლა მეფის ფრთაზე, თავად კი ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკი შექმნა. მალე ამ პაიკმა მსხვერპლად ეტლი მოითხოვა. 41-ე სვლაზე ზაიჩიკი დანებდა.

ჩიგოგიძემ გუფელდს დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. გრიუნფელდის დაცვაში მან უსწოროდ ითამაშა და 24-ე სვლაზე დანებდა.

სათამაშო დარჩა ორი ტური. უბილავას მეტოქეები არიან ბურჭულაძე და კალატოზიშვილი, გუფელდისა — მიქაძე და ბოკუჩავა. პირველობის ფინიში საინტერესო უნდა იყოს.

• • •

**საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. XV ტური.** მ. მამისთვალოვა — ც. კახაბრიშვილი 0:1, ც. კობაიძე — მ. ვაჩეიშვილი 1:0, ნ. მანველოვა — ნ. იოსელიანი 0:1, თ. ხუგაშვილი — ქ. გაჩეჩილაძე 1:0, ვ. კუპრაშვილი — ლ. ბელოზიოროვა 0:1, ა. ჩაიკოვსკაია — ნ. გურიელი 0,5:0,5, ე. ბაშინურიძე — ლ. თანდაშვილი (ყველა — თბილისი) 1:0, ე. აპრესოვა (გორი) — ქ. გეგიძე (თბილისი) 0:1, ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) — ნ. ხუბულური (ონი) 0,5:0,5.

**გადადებული პარტიების დამთავრება.** თანდაშვილი — ხუგაშვილი 0:1, მანველოვა — ბელოზიოროვა 0:1, ხუგაშვილი — გურიელი 0,5:0,5, ბაშინურიძე — აპრესოვა 1:0, ბელოზიოროვა — ხუგაშვილი 0:1, კახაბრიშვილი — წერეთელი 1:0.

**15 ტურის შემდეგ ლიდერობენ:** კობაიძე — 12 ქულა, ხუგაშვილი, ჩაიკოვსკაია — 11-11, კახაბრიშვილი — 10,5, ბაშინურიძე, წერეთელი — 10-10, გაჩეჩილაძე, იოსელიანი — 9-9, გურიელი — 8,5.

— ჰალეს ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის შემდეგ არსად მითამაშია, ამიტომ პირველობის სტარტი წარუმატებლად ავიღე, — გვითხრა საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა კახაბრიშვილმა.

შუა ტურნირში იგი დიდი მონდომებით იბრძოდა, ფინიშზე კი უდიდესი ძალით მიიწევს წინ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კახაბრიშვილის შეხვედრა წერეთელთან. პარტიაში თვალნათლივ გამოჩნდა ამ ნიჭიერი მოჭადრაკეების შემოქმედებითი მრწამსი და ბრძოლის ჟინი. მეტოქეებმა დაფასთან ექვსნახევარი საათი გაატარეს და 70 სვლა გააკეთეს.

სიცილიური დაცვის დახურულ ვარიანტში კახაბრიშვილმა პაიკის ფლანგური შეტევა წამოიწყო, მერე კი მეტოქის მეფეს პაიკთა წყობა გაუფუჭა. წერეთელმა გააწყვილა ეტლები, ლაზიერისა და კუს ერთობლივი მოქმედებით თეთრ გვირგვინოსანს შეუტია. ბრძოლა დაიძაბა. კახაბრიშვილი უზუსტესი სვლებით იგერიებდა შამათის მუქარას. წერეთელმა იჩქარა ეტლების გაცვლა. პოზიცია გამარტივდა: დაფაზე თითო ლაზიერი და სხვადასხვა ფერის კუ დარჩა, მაგრამ კახაბრიშვილს გამსვლელი პაიკი შეექმნა. კვლავ მძაფრი შეტაკება. წერეთელი იძულებულია ლაზიერები გაცვალოს და კახაბრიშვილს პაიკი ლაზიერად გაჰყავს. ახალგაზრდა მეტოქე იძულებულია მასში ერთადერთი კუ დათმოს. ეს იყო წერეთლის პირველი წაგება. ახლა ტურნირში დაუმარცხებელი აღარავინ დარჩა.

ხუგაშვილი დიდ ენერგიას იჩენს. გადადებული პარტიების დამთავრებამ გვიჩვენა, რომ ხუგაშვილი ფინიშზე ბრძოლას მონდომებას არ დააკლებს. გაჩეჩილაძეს მან ესპანურ პარტიაში პაიკი შესწირა. საინტერესო თამაში ის იყო დაიწყო, როცა გაჩეჩილაძემ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა და უფიგუროდ დარჩა.

მეთოდურად იბრძოდა კობაიძე. მან ვაჩეიშვილს ჯერ დაუსუსტა მეფის მისადგომები, მერე კი მათი გამოყენებით გაიმარჯვა. ჩაიკოვსკაია გურიელის მხრიდან დაუძლეველ წინააღმდეგობას წააწყდა და ყაიმს დასჯერდა.

სათამაშოა კიდევ ოთხი ტური. დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს ლიდერთა შემდეგი შეხვედრები: კობაიძე — კახაბრიშვილი (XVII ტურში), ხუგაშვილი — კახაბრიშვილი (XIX), წერეთელი — კობაიძე (XVIII).

**თ. ნინოშვილი.**

**სურათზე:** ტურნირების საერთო ხედი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



რედაქტორი მ. კაკაბაძე.


## „დინამოს" სკოლა იწვევს...

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივთან არსებული სპეციალიზებული სკოლა იღებს ნორჩ ფეხბურთელებს წლევანდელი სეზონისთვის. სკოლაში ჩაირიცხებიან 1963-65 წლებში დაბადებული ბავშვები.

თბილისის ნორჩ დინამოელთა წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი. სკოლაში ბევრი ოსტატი აღიზარდა. ბავშვებთან აქ მუშაობენ გამოჩენილი ფეხბურთელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. გაგუა, ს. კოტრიკაძე, სპორტის ოსტატი ბ. სიჭინავა, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ო. უშვერიძე.

სკოლაში ჩარიცხვის მსურველთა გასინჯვა და შერჩევა იწარმოებს „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში, ყოველ კვირა დღეს, 10-დან 14 საათამდე.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

მექანდეურობა. სოფელი ოქროყანა, წავკისის ხევი. 18-19 მაისი. ქალაქის პირველობა. დასაწყისი 11 ს.


ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04588